



თბილისი კაპიტალი

გლობალური ბაზრების ყოველკვირეული მიმოხილვა

16 თებერვალი 2026

რატი წიკლაური

უფროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

ალექსანდრე გველესიანი

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

ნიკა კვაშალი

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

მოკლე შეჯამება


მსოფლიო ბაზრების მიმოხილვა

	უკუგება (USD,%)	
MSCI აქციების ინდექსები	კვირა	YTD
აშშ	(1.34)	(0.35)
ევროპა	0.27	4.26
აზია (გარდა იაპონიისა)	3.62	9.92
იაპონია	3.38	12.29
განვითარებადი ბაზრები	3.25	10.73
მსოფლიო	(0.39)	1.79


ბაზრის პულსი

გასულ კვირას გლობალურ ბაზრებზე ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული შიშები გავრცელდა, რამაც პროგრამული უზრუნველყოფის აქციების ვარდნა გამოიწვია. მეორე მხრივ, ინვესტორებმა ტექნიკური უზრუნველყოფის კომპანიების მიმართ დადებითი განწყობები გამოიჩინეს, რაც არაერთ კონტინენტსა და ბაზარს შეეხო. აშშ-ში ბაზრები დაეცა, თუმცა ევროპასა და იაპონიაში ზრდა დაფიქსირდა. აზიაში სანაე ტაკაიჩის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვების შემდეგ დაწყებული აღმასვლა გაგრძელდა, რაც მოსალოდნელი ფისკალური სტიმულისა და ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართ ინვესტორთა დადებით დამოკიდებულებას ირეკლავს.

აქტივების კლასების უკუგება (კვირა)




აშშ-ის სექტორული უკუგება (კვირა)




მეხსიერების დეფიციტი

მაშინ, როცა ტექნოლოგიური სექტორი ვარდნას განიცდის, მეხსიერების ჩიპების მწარმოებლები ხელოვნური ინტელექტის ბუმის წყალობით რეკორდულ ზრდას აჩვენებენ. ტექნოლოგიური გიგანტები მონაცემთა ცენტრებში მილიარდებს აბანდებენ, რადგან AI სერვერებს კოლოსალური მოცულობის მეხსიერება ესაჭიროებათ. მწარმოებლებმა პრიორიტეტი AI-სთვის განკუთვნილ ჩიპებს მიანიჭეს, რამაც სტანდარტული ტექნიკისთვის კომპონენტების მწვავე დეფიციტი გამოიწვია. ფასების ზრდის წყალობით, მეხსიერების ჩიპების კომპანიები რეკორდულ მოგებას ნახულობენ.



მსოფლიო ბაზრების მიმოხილვა




უკუგება (USD,%)				
წყარო: Bloomberg				
MSCI აქციების ინდექსები	1-კვირა	1-თვე	წლის დასაწყისიდან	1-წელი
აშშ	(1.34)	(1.71)	(0.35)	11.20
ევროპა	0.27	0.49	4.26	11.22
აზია (გარდა იაპონიისა)	3.62	4.54	9.92	33.86
იაპონია	3.38	4.38	12.29	38.18
განვითარებადი ბაზრები	3.25	4.72	10.73	38.20
მსოფლიო	(0.39)	(0.12)	1.79	15.67

კვირის მთავარი მოვლენები


- გასულ კვირას აშშ-ის საფონდო ბირჟებზე კლება დაფიქსირდა, რაც ტექნოლოგიურ კომპანიებზე ხელოვნური ინტელექტის გავლენასთან დაკავშირებულმა შიშებმა განაპირობა. ყველაზე ცუდი შედეგი პროგრამული უზრუნველყოფის სექტორმა აჩვენა, მიუხედავად ინფლაციასა და უმუშევრობასთან დაკავშირებული დადებითი ეკონომიკური სიახლეებისა.
- გასული კვირის განმავლობაში ევროპული აქციები მერყეობდა, თუმცა კონტინენტის კომპანიებმა ამერიკულ ბაზრებთან შედარებით უკეთესი შედეგები აჩვენეს. მართალია, ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული შიშები ევროპაშიც გავრცელდა, თუმცა ბაზრებზე ტექნოლოგიური აქციების ნაკლებმა კონცენტრაციამ ვარდნა შეარბილა. განსაკუთრებით დიდი ზრდა ტექნიკური აპარატურის მწარმოებელთა კომპანიებმა ნახეს.
- იაპონურმა აქციებმა მკვეთრი ზრდა განაგრძეს და ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დაწყებული ტენდენცია შეინარჩუნეს. ეს პოლიტიკური ცვლილება ქვეყნის წამყვანი კომპანიებისთვის ხელსაყრელ ფისკალურ და ინდუსტრიულ პოლიტიკაზე მიაჩნდება; განსაკუთრებით დიდი ზრდა თავდაცვის სექტორის კომპანიების აქციების ფასებმა დააფიქსირეს.

აქტივების ბაზრის მიმოხილვა

აქტივების კლასების კვირის უკუგება



აქტივების კლასების უკუგება წლის დასაწყისიდან დღემდე



წყარო: Bloomberg

გასული კვირის მნიშვნელოვანი ცვლილებები

- Brent-ის ნავთობის** ფასი, თითქმის ერთწლიანი კლების შემდეგ, ამ კვირაში ზრდას აფიქსირებს, რაც გეოპოლიტიკური ფაქტორების ერთობლიობით არის განპირობებული. აშშ-მა და ინდოეთმა საბოლოოდ გააფორმეს შეთანხმება, რომელიც ინდოეთის მიერ რუსული ნავთობის შესყიდვას აჩერებს, ხოლო ისრაელი და აშშ შეთანხმდნენ, რომ ჩინეთში ირანული ნავთობის ექსპორტი აღკვეთონ.
- აშშ დოლარმა** ამ კვირაში კლება განაგრძო. უმუშევრობისა და ინფლაციის შემცირებასთან ერთად, ბაზრებზე ფედერალური რეზერვის მიერ მომავალ წელს საპროცენტო განაკვეთების შემცირების მოლოდინი გაზრდა; აღნიშნულმა კი დოლარში დენომინირებულ აქტივებზე დადმავალი ზეწოლა მოახდინა. მცირედით გაიზარდა აშშ-ის 10-წლიანი ობლიგაციების შემოსავლიანობა.


გეოპოლიტიკა

მარკო რუბიო მიუნხენში

ყოველწლიურად მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ლიდერები და მოაზროვნეები მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე იკრიბებიან. ამჯერად, მზარდი საერთაშორისო დაძაბულობის ფონზე, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა და პრეზიდენტ ტრამპის მრჩეველმა, მარკო რუბიომ, თავისი გამოსვლისთვის უფრო რბილი ტონი შეარჩია, ვიდრე ამას ბევრი ევროპელი ლიდერი ელოდა – განსაკუთრებით ვიცე-პრეზიდენტ ჯეი დი ვენსის მიერ გასულ წელს, ამავე ღონისძიებაზე წარმოთქმული სიტყვის ფონზე. რუბიოს გამოსვლაში გამოთქმული პრიორიტეტები ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას ირეკლავდა. აშშ-ს აზრით, საჭიროა არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკის აღმოფხვრა, ევროპის თავდაცვის გაძლიერება და იმიგრაციის შემცირება. „ამერიკა კეთილდღეობის ახალი საუკუნისკენ მიმავალ გზას სახავს, — განაცხადა რუბიომ, — და ჩვენ ამის გაკეთება თქვენთან, ჩვენს უძველეს მეგობრებთან ერთად გვინდა.“



მაკროეკონომიკა



აშშ-ში ინფლაცია მოსალოდნელზე დაბალია

უკანასკნელი კვირის განმავლობაში აშშ-ში დადებითი ეკონომიკური მონაცემები გამოქვეყნდა. იანვარში სამუშაო ადგილების ზრდა საგრძნობლად დაჩქარდა, ხოლო უმუშევრობის დონე 4.3%-მდე დაეცა, რაც ბაზრების მოლოდინებზე უკეთესი შედეგია. ამასთან ერთად, თებერვლის მონაცემებით წლიურმა ფასების ზრდამ 2.4% შეადგინა, მიუხედავად შიშებისა, რომ დონალდ ტრამპის სატარიფო პოლიტიკა მომხმარებლებზე უფრო დიდ ზეწოლას მოახდენდა. ეს გაუმჯობესებული მონაცემები კვეთს უორშის ფედერალურ რეზერვს მეტ ბიძგს მიცემს მიმდინარე წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთის შესაძლო შემცირებისთვის.

კვირის მიგნება


მეხსიერების ჩიპები დეფიციტშია

მაშინ, როცა ტექნოლოგიური სექტორის აქციები თავისუფალ ვარდნაშია, მეხსიერების ჩიპების მწარმოებლების — Samsung, Sandisk და Micron — ღირებულება ასტრონომიული სიჩქარით იზრდება. ამის მთავარი კატალიზატორი ხელოვნური ინტელექტის ბუმაა. ტექნოლოგიური გიგანტები — Google, Amazon და OpenAI — აქტიურად აშენებენ უზარმაზარ მონაცემთა ცენტრებს AI პროგრამებისა და მოდელების სამართავად. პროგნოზების თანახმად, მხოლოდ 2026 წელს ამ ინფრასტრუქტურაზე 600 მილიარდ დოლარზე მეტი დაიხარჯება. ამ სისტემებს კოლოსალური მოცულობის, სპეციალიზებული და მაღალსიჩქარიანი მეხსიერების პროცესორები ესაჭიროებათ; შედარებისთვის, ერთ AI სერვერს იმდენივე მეხსიერება სჭირდება, რამდენიც ათას ფლაგმანურ სმარტფონს, დიდი მონაცემთა ცენტრები კი ხშირად 100,000-ზე მეტ სერვერს მოიცავს.

უპრეცედენტო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ჩიპების მწარმოებლებმა საწარმოო ხაზები სრულად გადააწყვეს. პრიორიტეტი ახლა AI-სთვის განკუთვნილი სპეციალური მეხსიერებაა, რამაც სტანდარტული ლეპტოპებისა და ტელეფონების კომპონენტებზე მწვავე დეფიციტი შექმნა. მიწოდების სიმცირემ ფასების შოკური ზრდა გამოიწვია — ზოგიერთ შემთხვევაში ღირებულება ერთ თვეში 75%-ით გაიზარდა. ბაზარზე შექმნილ ვითარებას ანალიტიკოსები უკვე „RAM-მაგედონ“ (RAMmageddon) უწოდებენ.



Apple-ისა და Sony-სთვის, რომელთაც სმარტფონებისა და კონსოლების თვითღირებულება ეზრდებათ, ეს მოგების მარჟის შემცირებას ნიშნავს. სამაგიეროდ, ჩიპების მწარმოებლები რეკორდულ მოგებას ნახულობენ. მოსალოდნელია, რომ ეს ტენდენცია შენარჩუნდება, რადგან მიწოდების გასაზრდელად საჭირო ახალი ქარხნების მშენებლობას წლები სჭირდება. მოცემულ მომენტში ძალაუფლება იმ კომპანიების ხელშია, რომლებიც AI რევოლუციისთვის საჭირო ფუნდამენტურ „სამშენებლო ბლოკებს“ აწარმოებენ.

მწარმოებელთა აქციების ფასი იზრდება





ბაზრის მამოძრავებლები

Fox Corporation-ის აქციები ამ კვირაში კვარტალური შედეგების გამოქვეყნების შემდეგ დაეცა. მიუხედავად შემოსავლების 2%-იანი ზრდისა, კომპანიის მომგებიანობა შემცირდა: მოგება თითო აქციაზე \$0.81-დან \$0.52-მდე ჩამოვიდა. ინვესტორებმა მარჟის შემცირებას უარყოფითად უპასუხეს, რაც ანალიტიკოსების აზრით, სალიცენზიო და საწარმოო ხარჯების ზრდამ გამოიწვია.



IBM-ის აქციები გასულ კვირას დაეცა, რაც სექტორში ხელოვნური ინტელექტის მონეტიზაციასთან დაკავშირებულმა შიშებმა განაპირობა. ინვესტორები დააფრთხო მონაცემებმა, რომლებიც კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფის სეგმენტის შენელებაზე მიუთითებდა. ვარდნა გაამძაფრა ბაზრის სკეპტიციზმმა ტრადიციული ტექნოლოგიური კომპანიების მიმართ.

NRG Energy გასული კვირის აშკარა ლიდერი გახდა — აქციების ფასი 20%-ზე მეტით გაიზარდა მას შემდეგ, რაც კომპანიამ 2026 წლის ფინანსური პროგნოზი განაახლა. LS Power-ის აქტივების შეძენის შემდეგ, NRG ელის, რომ მისი ენერგიის წარმოება გაორმაგდება და 25 გიგავატს მიაღწევს. ეს მნიშვნელოვანი ზრდაა მონაცემთა ცენტრების მხრიდან ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნის ფონზე.



Howmet Aerospace-ის აქციების ფასმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია მას შემდეგ, რაც კომპანიამ მოსალოდნელზე უკეთესი ფინანსური ანგარიში წარადგინა.. დირექტორმა ჯონ პლანტმა აღნიშნა, რომ მოთხოვნა ახალ, ეფექტურ თვითმფრინავებსა და ძრავის ნაწილებზე კვლავ ძალიან მაღალია, რაც კომპანიას ფართო ეკონომიკური გაურკვევლობისგან იცავს.

კვირის განრიგი

ორშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
იაპონია	• მშპ-ს ზრდა (კვარტალური)

სამშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
დიდი ბრიტანეთი	• უმუშევრობა
გერმანია	• ZEW-ის ეკონომიკური განწყობა

ოთხშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
იაპონია	• სავაჭრო ბალანსი
დიდი ბრიტანეთი	• ინფლაცია წლის დასაწყისიდან
აშშ	• FOMC-ის სხდომის ოქმი

ხუთშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
---------	------------

პარასკევი

რეგიონი	ინდიკატორი
იაპონია	• ინფლაცია წლის დასაწყისიდან
დიდი ბრიტანეთი	• საცალო გაყიდვები
აშშ	• პირადი ხარჯვა

სიმბოლო	ტიპი
FRMI	შედეგები
SON	შედეგები
OTTR	შედეგები
AERO	შედეგები

სიმბოლო	ტიპი
MDT	შედეგები
PANW	შედეგები
CEG	შედეგები
CDNS	შედეგები

HSBC	ტიპი
ADI	შედეგები
BKNG	შედეგები
RIO	შედეგები
HSBC	შედეგები

სიმბოლო	ტიპი
MWT	შედეგები
BABA	შედეგები
DE	შედეგები
NEM	შედეგები

სიმბოლო	ტიპი
AU	შედეგები
PPL	შედეგები
KOF	შედეგები
LAMR	შედეგები

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის.

რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია.

დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განახლოს.

მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებითი გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით.

თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელსაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.



TBC CAPITAL

www.tbccapital.ge